საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაშიფსე

ლაშიფსე, მდინარე გუდაუთის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2347 მ სიმაღლეზე, ჩაედინება რიწის ტბაში. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. სიგრძე 23 კმ, აუზის ფართ. 115 კმ ^{2}. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირობა – ზამთარში, წყალ-მოვარდნები – შემოდგომაზე. დეკემბრიდან შუა თებერვლამდე უჩნდება ყინულნაპირისი. საშ. წლ. ხარჯი 7,98 მ ^{3}/ წმ.